პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 4 (3998)

7

1970 წ. იანვარი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პრიზიორები

ამ სურათებზე (მარცხნიდან) თქვენ ხედავთ გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვ. ჭოველიძის ახლახან დამთავრებული მემორიალის პრიზიორებს — I-II ადგილებზე გასულთ — რიგელ დიდოსტატ მ. ტალს, თბილისელ ოსტატ ბ. გურგენიძესა და III ადგილის მფლობელს, ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ვ. ჰორტს.

(ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი წერილი და ტურნირის საბოლოო ცხრილი იხ. მე-4 გვ.).









რეკლამის ფასი

ამა თუ იმ შეჯიბრების რეკლამა საჭირო რომ არის, ეს ახალი ამბავი როდია. რესპუბლიკის სამაგვარო სპორტული სკოლების ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობას, რომელიც ახლახან თბილისში დამთავრდა, სპორტის ამ სახეობის თითო-ოროლა გულშემატკივარი თუ ესწრებოდა, დიდძალი მაყურებელი კი ეყოლებოდა, კარგად რეკლამირებული რომ ყოფილიყო. რად ღირდა თუნდაც ბათუმელი რ. სიხარულიძის ნახვა თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას, როცა მან უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა. იგი ყველა იარაღზე შეუდარებელი იყო და, რასაკვირველია, 1954-55 წლებში დაბადებულ გოგონებში პირველობა დაისაკუთრა.

ანდა, გენახათ 12 წლის თბილისელი გოგონას ნ. დრონოვას გამოსვლა სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. მან ყველა მეტოქეს მოუგო და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოსასპარეზე სამუალო ასაკის ჭაბუკებში გაიმარჯვა გორელმა ვ. ჭიღლაძემ — 108,7, პირველთანრიგოსნებში — გ. რაჭველიშვილმა (თბილისი) — 107,15.

გუნდურ ჩათვლაში (პირველი ჯგუფი) პრიზი მოიპოვეს თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა. მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს ბათუმელებმა.

საინტერესო იყო შეჯიბრების (მთავარი მსაჯი გ. ჭილაია) გახსნა. აღინიშნა რ. სიხარულიძის მწვრთნელის ა. გაბრიაძის და ა. ნოზაძის აღმზრდელის ო. მიქელაძის კარგი მუშაობა. მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ნიშნები.

ვ. ბუკინი.

• • •

სურათზე: ნ. დრონოვა დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

△ **რომი.** გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მძღოლი სანი, ბადროს ტყორცნაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ა. კონსოლინი.

△ **პარიზი.** საფრანგეთისა და გფრ-ის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ მატჩში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 12:7.

△ **ანტვერპენი.** ველოკროსში ბელგიის ჩემპიონი გახდა ა. ვანდამი, რომელმაც 25-კილომეტრიანი დისტანცია საათსა და 6 წუთში დაფარა.

△ **ლიონი.** საფრანგეთის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებმა აქ ქვეყნის 82-ე ჩემპიონატი გაიმართეს. ვაეებში ყველას აჯობა გიფროიმ — 113,3 ქულა, ქალთა შორის კი ლოვარმა — 73,8.

△ **პრაღა.** ინგლისის გუნდთან გამარჯვების (93:61) შემდეგ საფრანგეთის კალათბურთელ ვაეთა ნაკრები ჩეხოსლოვაკიას ეწვია. სტუმრები ჯერ ქვეყნის ნაკრებთან დამარცხდნენ (70:86), ხოლო შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ გუნდთან — 75:81.

ჩვენს მკითხველებს

ლიპეცკელ ენთუზიასტებთან

ლიპეცკის ოლქის დობროვსკის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდ სპორტულ წარმატებებს მიაღწიეს. 1969 წლის სხვადასხვა შეჯიბრებაში მათ ბევრი დიპლომი, სიგელი და თასი მოიპოვეს.

... სამი წლის წინ ამ კოლმეურნეობაში შევიდა რაიონული გაზეთის ყოფილი ჟურნალისტი ა. პოპოვი. მას ძალიან უყვარს სპორტი და სხვა ენთუზიასტებთან ერთად გადაწყვიტა ფიზკულტურული კოლექტივი შეექმნა. ახალგაზრდა აგრონომი ვ. კოლობოვნიკოვა სათავეში ჩაუდგა მოთხილამურეთა სექციას. კოლმეურნეობის თავჯდომარის მოადგილემ ნ. სოლოვიოვმა მოკრივეთა წვრთნა ითავა. სხვა სექციებსაც გამოუჩნდნენ მწვრთნელები.

ახლა კოლმეურნეობაში ფიზკულტურასა და სპორტს სამასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მისდევს. 1969 წელს ისინი რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში ძალას ცდიდნენ ტანვარჯიშში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ჭოკეში, შაშში, ჭადრაკში და თითქმის ყველა სახეობაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. ამ შეჯიბრებებში ბევრმა თანრიგებიც მიიღო. ვ. კოლობოვნიკოვა, მაგალითად, სათხილამურო სპორტში პირველთანრიგოსანია, კოლექტივის ხელმძღვანელმა ა. პოპოვმა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდებაზე ჩაბარა გამოცდა.

— კოლმეურნეთა განვლილმა ყრილობამ, — თქვა სასოფლო-სამეურნეო არტელის თავჯდომარის მოადგილემ ნ. სოლოვიოვმა, — ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო საკითხი წამოჭრა. ყრილობის ღონისძიებათა განხორციელების დროს დიდ ყურადღებას ვაქცევთ ფიზკულტურის განვითარებასაც. კერძოდ, უახლოეს მომავალში განზრახული გვაქვს კარგი სპორტული კომპლექსის აგება.

ვ. გოლაჩოვი.
(საკ. ლენინის კორ.).

ლიპეცკი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ლელოში** — ო. კინდოლაფრს, გ. საყვარელიძეს, ჯ. ოთარაშვილს, ჯ. ბენდელიანს, ვ. კობეშავიძეს, შ. აბზიანიძეს, ნ. მალანიას, გ. თაველურს, ა. კირთაძეს, ა. ელიზბარაშვილს, ა. მწყერაშვილს, ვ. ვალიევს, ნ. კორაევს, გ. ციხაძეს, ა. ჭიღლაძეს, ვ. ნიკაბაძეს, ვ. აბშილავას, ნ. ბიბილეიშვილს, გ. ლეჟავას (ყველა — დიდი ჯიხაიშის „კოლმეურნე"); **ქართულ ჭიდაობაში** — შ. მაზმიშვილს, კ. ტატულაშვილს (ორივე — კასპის „კოლმეურნე").

გულგრილობა საქმეს არ არგებს

როზა ბერიკაშვილი, რომელიც ორი წლის წინ იცავდა სსრ კავშირის ტანვარჯიშული სკოლის ღირსებას, ვერ გახდა თბილისის ჩემპიონი სტუდენტთა შორის. ეს წოდება დაისაკუთრა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელმა გ. ბზიკაძემ.

მე მაინც ბერიკაშვილზე მინდა გიამბოთ. როცა მან თავისუფალი ვარჯიში შესრულა, დარეკზში სამარისებური სიჩუმე იდგა. ორი წლის წინ მიღებული სერიოზული ტრავმის გამო როზას წინანდელ გამოსვლებში აღარ იგრძნობოდა სითამამე და ურთულესი ელემენტებისკენ სწრაფვა. მაგრამ დღეს იგი საუცხოო იყო... თანდათან აჩქარებული რიტმი, თავბრუდამხვევი ელემენტები. მეოლდია შეწყდა. რამდენიმე წამის შემდეგ როზას მაღალი ოსტატობა გულშემატკივრებმა ტაშით შეაფასეს. რ. ბერიკაშვილმა 9,5 ქულა მიიღო.

ორმელზე როზას ვარჯიში მთლიანად დახვეწილი არ იყო. „უბრალოდ, ვშიშობდი", — თქვა მან. თავის მეტოქესთან როზამ 0,6 ქულით წააგო, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა.

— მთავარია, რომ დავიმორჩილე საკუთარი თავი, აღარ მაშინებს გამოსვლა. გამარჯვება? გამარჯვებაც მოვა, — ასე დამთავრა ჩვენთან საუბარი უნივერსიტეტის მეორეკურსელმა რ. ბერიკაშვილმა.

როზა უკვე 12 წელია ეზიარა ტანვარჯიშს და ყველა წარმატებას თავის განუყრელ მწვრთნელს თინა ქოიავას უმადლის. ფეხის ტრავმამ ერთხანს იგი ვარჯიშს მოსწყვიტა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში როზას გამოსვლებში კვლავ იგრძნობოდა უწინდებური ბრწყინვალება.

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშის გ. ნიკოლაძის ამ მემორიალში სულ 72 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტანმოვარჯიშეთა სიმცირე განსაკუთრებით შეიმჩნეოდა მეორე და მესამეთანრიგოსანთა ასპარეზობაში. ეტყობა, თბილისის უმაღლესი სასწავლებლები გულგრილობას იჩენენ მომავალი თაობის აღზრდაში.

* * *

აი, გამარჯვებულებიც:

სპორტის ოსტატი ქალები. ბ. ბზიკაძე — 74,35; ოსტატობის კანდიდატები. ს. ბაბრიელოვა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 69,95; პირველი თანრიგი. ხ. ლეალიშვილი — 67,95; მეორე თანრიგი. ნ. ძიძიგური — 72,55; მესამე თანრიგი. ნ. ცოცხალაშვილი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 37,25.

სპორტის ოსტატი ვაეები. შ. აზარაშვილი (უნივერსიტეტი) — 108,55; ოსტატობის კანდიდატები. ა. ნოზაძე — 112,95; პირველი თანრიგი. ვ. ტყაბლაძე (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 110,05; მეორე თანრიგი. ო. აბუთიძე (უნივერსიტეტი) — 110.45; მესამე თანრიგი. ბ. ფუტკარაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 56,3.

გუნდური. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 27 ქულა, უნივერსიტეტი — 20, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 12.

ვ. ბუკინი.

ოქროს ქალღვერთის 16 პრეტენდენტი

ვაშ ასე: მსოფლიოს IX საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების პირველი ეტაპი დამთავრებულია. ჯგუფებში დასრულდა ე. წ. საკვალიფიკაციო თამაშები, გამოვლინდა 14 გამარჯვებული, რომლებიც ფინალში საბრძოლველად შეუერთდნენ ინგლისსა და მექსიკის გუნდებს. 16 პრეტენდენტი მზადაა!

რა თქმა უნდა, როცა 16 პრეტენდენტს ვახსენებთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველ მათგანს გამარჯვების თანაბარი პრეტენზია აქვს. ზოგიერთი ფინალისტი იმითაც სავსებით კმაყოფილია, რომ მოიპოვა მექსიკოს საგზური, ე. ი. ის, რაც ვერ შეძლეს ისეთმა გამოცდილმა, ძლიერმა გუნდებმა, რომლებსაც ფინალში მოხვედრის შემთხვევაში საპრიზო ადგილების პრეტენზიებიც კი ექნებოდათ და სრულიად სამართლიანადაც. ცხადია, აქ ისევ და ისევ გათამაშების არასრულყოფილ ფორმულასთან გვაქვს საქმე. წინასწარი თამაშების ჯგუფები არაა თანაბარი ძალისა და მაშინ, როცა, ვთქვათ, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ძლიერი გუნდები თავს აკლავდნენ ერთმანეთს ფინალში მოსახვედრად, ზოგიერთ სხვა ჯგუფში ფავორიტებთან ერთად ამჟამად მეორეხარისხოვანი მეტოქეები იყვნენ თავმოყრილი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამდენ მოულოდნელობას, ამდენ სიურპრიზს ადგილი არა ჰქონია არც ერთ წინანდელ გათამაშებაში. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც მხოლოდ ის, რომ ფინალში მონაწილეობის უფლება პირველად მოიპოვეს მაროკომ, პერუმ, საბჭოთა კავშირმა, ბელგიამ, ისრაელმა.

ვინ გავიდა, საერთოდ, ჩემპიონატის 16 ფინალისტს შორის? ესენი არიან: ინგლისი, გფრ, შვეიცია, სსრ კავშირი, ბელგია, რუმინეთი, ბულგარეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია (ევროპა), მექსიკა, ბრაზილია, ურუგვაი, პერუ, საბჭოთა (ამერიკა), მაროკო (აფრიკა), ისრაელი (აზია).

ვინ ვერ მოხვდა ფინალში? პორტუგალია, უნგრეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, არგენტინა, შოტლანდია, გდრ, იუგოსლავია, ჩრდილოეთ ირლანდია, პოლონეთი და სხვანი. ამ გუნდებიდან ხომ შეიძლება დიდი სიძლიერის ცალკე ფინალური ჯგუფი შედგეს? იყო კიდეც წინადადება მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად ჩაეტარებინათ „განაწყენებულთა“ ტურნირი, მაგრამ რას უნდა ემსახურებოდეს იგი? ვინ არის დამნაშავე, რომ პორტუგალიელებმა და იუგოსლავიელებმა ვერ გაართვეს თავი საკვალიფიკაციო ჯგუფს?

ახლანდელი ფინალის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ისიც, რომ მასში მონაწილეობს ყველა ადრინდელი მსოფლიო ჩემპიონი და თუ გავიხსენებთ, რომ სამ მათგანს (ურუგვაი, იტალია, ბრაზილია) ორ-ორჯერ აქვს მოპოვებული ქიულ რიმეს თასი, გამორიცხული არაა შესაძლებლობა, ძვირფასი პრიზი ოქროს ქალღმერთის გამოსახულებით სამუდამო მფლობელობაში ჩაბარდეს რომელიმე მათგანს.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ახლა საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე დგას: 16 ფინალისტი უდა განაწილდეს ოთხ ჯგუფში, ეს კი არც ისე იოლი საქმეა. ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უწინ აკომპლექტებდნენ ჯგუფებს, ახლა გამოუსადეგარია. საჭიროა რაღაც ახალი, მაგრამ რომელი? მას ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

• • •

ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ ყოველ ჯგუფში წარმოებული ბრძოლის მოკლე მიმოხილვას და საბოლოო ცხრილს.

I ჯგუფი

ეს, რასაც ამ ჯგუფში მოხდა, ალბათ, დიდხანს შერჩება სალაპარაკოდ საფეხბურთო სამყაროს. სწორედ აქ განიცადა სრული კრახი მთავარმა ფავორიტმა — პორტუგალიამ, ეუსებიოს გუნდმა. როგორ მოხდა, რომ პორტუგალიელებმა არა მარტო დათმეს ფინალში თამაშის უფლება, არამედ ბოლო ადგილი დაიკავეს ჯგუფში?

გასული მსოფლიო ჩემპიონატის ბრონჯაოს პრიზიორებმა დიდი რიხით მიიღეს ლისაბონში რუმინეთის ნაკრები და ითამაშეს ისე, როგორც ეს მათ ტიტულს შეეფერებოდა — 3:0. ვინ იფიქრებდა, რომ ეს იყო პორტუგალიელთა პირველი და უკანასკნელი, ერთადერთი გამარჯვება ჯგუფში და რომ სწორედ რუმინელები მოიპოვებდნენ ფინალში გასვლის უფლებას? მაგრამ ეს სწორედ ასე მოხდა. საქმეს არ უშველა არც ეუსებიოს ცრემლებმა, არც მწვრთნელთა კალეიდოსკოპურმა ცვლამ. ნაკრების ბოლო მწვრთნელს ჟოზე მარია ანტუანესს ლისაბონის სტადიონზე კი არა, ქუჩაშიც უტევნენ ამ ბოლო ადგილისა და 3 წაგებისთვის.

რას წარმოადგენს გამარჯვებული — რუმინეთის ნაკრები? ამ ქვეყანაში რამდენიმე წლის წინ მტკიცედ აიღეს კურსი გუნდის გაახალგაზრდავებაზე და საქმეს ბოლომდე მისდიეს. თბილისელ მაყურებლებს უნდა ახსოვდეთ რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრების გამოსვლა „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა თანატოლებთან. სტუმრებმა მაშინ საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს, რამდენიმე მათი მოთამაშე მართლაც შესანიშნავი იყო. აი, იმ გუნდიდან შეარჩიეს რუმინელებმა ზოგიერთი ფეხბურთელი, შეუერთეს ისინი ვეტერანებს და მიიღეს პირველხარისხოვანი ანსამბლი, რომელმაც თქვა კიდეც თავისი გადამწყვეტი სიტყვა. რუმინეთისა და პორტუგალიის გუნდების საპასუხო მატჩს ბუქარესტში (გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0) ესწრებოდა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ჟ. საღდანა, რომელმაც ხოტბა შეასხა რუმინელებს.

გამარჯვებულთა ძირითადი შემადგენლობა ასეთია: რადუკანუ, სატრამარიანუ, ხალმაგეანუ, დან კოა, დელეანუ, დინუ, ნუნგაილერი, დემბროვსკი, დობრინი, დუმიტრაჩე, ლუკესკუ.

საბოლოო მდგომარეობა I ჯგუფში ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	3	2	1	7—6	8
საბერძნეთი	3	1	2	13—9	7
შვეიცარია	1	3	2	5—8	5
პორტუგალია	1	2	3	8—10	4

II ჯგუფი

ზრაღა, 14 სექტემბერი, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი. ეს შეხვედრა მატჩი ჩვენც ვნახეთ ტელევიზიით და, უნდა ითქვას, თამაში ძალიან საინტერესო იყო — ტემპიანი, სწრაფი, მაღალტექნიკური, შეტევები, უხვგოლიანი (3:3), მაგრამ ვერც ამ შეხვედრამ და ვერც სხვა მომდევნო მატჩებმა ვერ მოჰფინა ნათელი მდგომარეობას II ჯგუფში. უნგრელებს ყველაფერი გაუფუჭა კოპენჰაგენში განცდილმა სენსაციურმა წაგებამ დანიის სუსტ ნაკრებთან, რომელსაც მიმმხილველები მანამდე სტატისტის როლს აკუთვნებდნენ.

„სტატისტებმა“ სინამდვილეში „პირველი გმირის“ როლი შეასრულეს და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გაწირეს ბუდაპეშტში. ამ დამარცხებამ (2:3) დიდი შანსები შეუქმნა ჩეხოსლოვაკიელებს. როცა წინასწარი თამაშების პროგრამა მთლიანად იქნა ამოწურული, 2 ლიდერის მდგომარეობა თანაბარი იყო: უნგრეთსაც და ჩეხოსლოვაკიასაც 9-9 ქულა ჰქონდათ. დებულების თანახმად, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას ჯგუფებში არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩის ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე (მარსელი, 3 დეკემბერი).

არავინ ელოდა იმას, რაც მარსელში მოხდა. მართალია, უნგრელებს აკლდათ დუნაი და ალბერტი, თავდასხმის ეს უძლიერესი დუეტი, მაგრამ ანგარიში 4:1 ასეთი მნიშვნელობის მატჩში? ეს სიურპრიზი ეკუთვნით ჩეხოსლოვაკიელებს და მათს მწვრთნელს ი. მარკოს. მწვრთნელმა მატჩის წინ ჟურნალისტებს განუცხადა: „შეტევა, მხოლოდ შეტევა. პირველი წუთიდან ოთხმოცდამეათემდე“.

ი. მარკოს სიტყვები ბაქაობა არ აღმოჩნდა. ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ვიქტორი (ვენცელი), პიგარნიკი, ხორვატი, მიგასი, ხაგარა, კვაშნიაკი, კუნა (პოლაკი), ვეზელი, პეტრაში, ადამეცი, ოიკლი, მართლაც პირველივე წუთებიდან აიღეს ხელთ ინიციატივა და 90-ე წუთისთვის წინ იყვნენ — 4:0!

მხოლოდ პენალტმა უშველა უნგრელებს თავი დაეღწიათ „მშრალი“ ანგარიშით წაგებისთვის — 1:4. ამის შემდეგ კომენტარები ზედმეტი შეიქნა: ჩეხოსლოვაკიელთა დამსახურებული უფლება მეხიკოში გამგზავრებაზე ყველამ აღიარა.

უნგრეთი	4	1	1	16—7	9
ჩეხოსლოვაკია	4	1	1	12—6	9
დანია	2	1	3	6—10	5
ირლანდია	0	1	5	3—14	1

დამატებითი მატჩი: ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 4:1.

III ჯგუფი

ვთქვათ, უელსი აშკარად სუსტია ამ ჯგუფში და მან კანონიერად წაგო ყველა თამაში. მაგრამ დარჩენილ ორ მეტოქეს შორის მწვავე ბრძოლა იყო მოსალოდნელი. იტალია ევროპის ჩემპიონია და ბოლო წლებში კვლავ დაიბრუნა მაღალი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე. ამ ხნის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმაც და მთელ რიგ მატჩებში უმაღლესი ოსტატობა გამოავლინა, თანაც, დიდი შედეგიანობით გამოიჩინეს თავი ფოგელმა, ფრენცელმა, ლიოვემ.

I ადგილის პრეტენდენტები თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ (5-5 ქულა), როცა 22 ნოემბერს შეხვდნენ ერთმანეთს ნეაპოლის „სან პაოლოს“ მინდორზე. ამ სტადიონის სახელს ვახსენებთ იმიტომ, რომ იტალიელებს იგი იღბლიანად აქვთ დაცდილი და არ უშვებენ შესაძლებლობას სწორედ აქ ითამაშონ ხოლმე გადამწყვეტი მატჩები. იღბალი იღბლად, იტალიის ნაკრები კი ამ დღეს თავის მეტოქეზე ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა. მართალია, შეტევები სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ იტალიელები უმეცდომოდ მოქმედებდნენ დაცვაში და ძალზე ნაყოფიერად — თავდასხმაში. 3:0 ნათელი ილუსტრაციაა „სკუადრა აძურას“ უპირატესობისა (ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, სერა, პია, სალვადორე, დომენგინი, მაცოლა, რივა, დე სისტი, ჩიარუჯი).

ახლა ბევრს წარენ იტალიელთა მთავარ მწვრთნელ ფ. ვალკარეჯიზე. იგი მართლაც ღირსია ამისა. ვალკარეჯის თავისი თითოეული ნაბიჯი სუსტად გამოთვლილი აქვს, ყოველი ფეხბურთელი — ათასჯერ გამონაცადი, ხოლო მოწინააღმდეგეები — უმეცრეს დეტალებამდე შესწავლილი. მაგალითად, ბოლო მატჩის წინ იგი თითქმის ფეხდაფეხ დასდევდა გდრ-ის ნაკრებს ყველგან, აკვირდებოდა მის ცალკეულ წევრებს, სწავლობდა გუნდის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მაგრამ იტალიელთა წარმატებას სხვაც უდევს საფუძვლად. საქმე ისე მიდის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ქვეყანაში ბალთ სავსებით შეწყდება უცხოელ ფეხბურთელთა იმპორტი. ყოველ შემთხვევაში, ახალი დადგენილებით, 1973 წლამდე ვერც ერთი იტალიური კლუბი ვერ შეისყიდის უცხოელ მოთამაშეს. ახლა ასეთთა რაოდენობა იტალიაში ორ ათეულსაც არ აღწევს და ამ „კონტრაბანდის“ აკრძალვის ხარჯზე ერცელი ასპარეზი დაეთმოთ ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებს — ეროვნულ კადრებს, რომლებიც სულ უფრო თამამად შეჰყავთ იქაურ კლუბებში. შედეგი ნათელია.

იტალია	3	1	0	10—3	7
გდრ	2	1	1	7—7	5
უელსი	0	0	4	3—10	0

IV ჯგუფი

ბრძოლის მსვლელობა ამ ჯგუფში, მისი საბოლოო შედეგები განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენთვის, ვინაიდან აქ სსრ კავშირის ნაკრებიც თამაშობდა.

სამ მონაწილეს შორის ერთის საკითხი, არსებითად, ადრევე გადაწყდა. ეს იყო თურქეთის გუნდი, რომელმაც გათამაშების დასაწყისშივე წააგო 2 მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან — 1:4 და 0:3. მართალია, შემდგომში თურქებმა ყველაფერი იღონეს თავიანთი პრესტიჟის აღსადგენად, მაგრამ ამაოდ: ციფრი „0“ მათ ბოლომდე უიმედოდ შერჩათ სატურნირო ცხრილში.

ამრიგად, ირლანდიელებმა 4 გარანტირებული ქულით დაიწყეს „დუელი“ თავიანთ მთავარ კონკურენტთან. ისინი ბევრს ეცადნენ კიდევ 2 ქულა აეღოთ საკუთარ მინდორზე, მაგრამ ვერ შეძლეს ეს და მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ამასთან, მათი მთავარი იმედი, მათი თავდასხმის მახვილი ჯ. ბეტი საგულდაგულოდ ჰყავდა ჩაკეტილი ძოძუაშვილს.

განმეორებითი შეხვედრა მოსკოვში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0, რის შემდეგ თურქებთანაც იქნა გასწორებული ყველა ანგარიში (3:0, 3:1) და ჩვენმა გუნდმა ზედიზედ მეოთხედ გაანაღდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება.

უცხოეთის პრესა დიდ ადგილს უთმობდა საბჭოთა გუნდის გამოსვლებს 1969 წლის სეზონში და განსაკუთრებით — შესარჩევ მატჩებში. აღინიშნა, რომ დასაწყისში მას არ ჰქონდა სტაბილიზებული შემადგენლობა, დიდი ხნის მანძილზე უმოქმედობდა თავდასხმა, მაგრამ უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა საბოლოოდ მაინც შეარჩია აგრესიული, შედეგიანი ფორვარდები, მოიერიმე ნახევარმცველები, შეთამაშებული დაცვა. გუნდის დამახასიათებელი თვისებები კოლექტივიზმი, მტკიცე სათამაშო დისციპლინა, მაღალი საბრძოლო თვისებები და შრომისუნარიანობა.

ინგლისის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. რამსეი სტამბოლში დაეწერო თურქეთისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩს. ეს ვიზიტი გამოწვეული იყო იმით, რომ მას საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად მიაჩნია მომავალ ფინალურ თამაშებში. მწვრთნელმა თავისი ეს შეხედულება საჯაროდაც თქვა. რამსეიმ სსრ კავშირის ნაკრებს შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოჰყო თბილისელი ფეხბურთელები მ. ხურცილავა და კ. ასათიანი, რომლებსაც ძალზე მაღალი შეფასება მისცა.

ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა ასეთია: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლოჩვეი, სერებრიანიკოვი, ასათიანი, მუნტიანი, ნოდია, ბიშოვეცი, ხმელნიცკი.

სსრ კავშირი	3	1	0	8—1	7
ჩრდ. ირლანდია	2	1	1	7—3	5
თურქეთი	0	0	4	2—13	0

V ჯგუფი

შვეიცას ფაქტიურად 2 ნაკრები ჰყავს. ერთი ის, რომელშიც უცხოეთში წასული მოთამაშეები არ გამოდიან (ეს სუსტი გუნდია), მეორე — სადაც უცხოეთში მყოფი პროფესიონალებიც თამაშობენ, ძალაა, რომელსაც არ შეიძლება არ გაუწიო ანგარიში. ყველას ახსოვს 1958 წელი, როცა შვედებმა თავი მოუყარეს თავიანთ „ლტოლვილ შვილებს“ და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს.

შვედები ისევ აპირებენ „გაერთიანდნენ“ 1970 წლის გადამწყვეტი თამაშებისთვის, რომლის ვიზა მათ მიიღეს საფრანგეთისა და ნორვეგიის გუნდებთან ბრძოლაში. ეს გზა არ იყო იოლი, და შვეიცის ნაკრების წარმატება არსებითად განაპირობა ფრანგების მარცხმა ნორვეგიელებთან პირველივე მატჩში. ფრანგული ფეხბურთი ახლა მძიმე კრიზისს განიცდის და ეძებს გზებს მისგან თავის დასაღწევად. როცა შედგა ამ ჯგუფის მატჩების კალენდარი, სავარაუდო იყო, რომ ყველაფერს გადაწყვეტდა შვეიცარიისა და საფრანგეთის გუნდების ბოლო შეხვედრა. მაგრამ ამ დღისთვის — 1 ნოემბრისთვის ყველაფერი ნათელი იყო: შვედებს უკვე განაღდებული ჰქონდათ I ადგილი და, მასთან ერთად, ადგილიც ფინალში. ამიტომ მათ მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ თავი და იოლად დაუთმეს მეტოქეს ეს პრესტიჟის მატჩი — 0:3. მათთვის მთავარი იყო 15 ოქტომბრის თამაში ფრანგებთან, რომელიც მეხიკოს საგზურს იძლეოდა და იგი მოგებული იქნა საკმაოდ დამაჯერებლად — 2:0.

ახლა შვეიცის გუნდი ისევ თავისი „ემიგრანტების“ იმედითაა, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არიან გაფანტული და უცდიან ერთობლივ შეკრებას მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

გადამწყვეტ მატჩებს V ჯგუფში გამარჯვებულნი ასეთი შემადგენლობით ატარებდნენ: ჰელსტრემი, ხელანდორი, აქსელსონი, ნორდკვისტი, ჰრიპი, სვენსონი, ლარსონი, ერიქსონი, ტრანი, კინდვალი, პერსონი.

საბოლოო მდგომარეობა ამ ჯგუფში ასეთია:

შვეიცია	3	0	1	12—5	6
საფრანგეთი	2	0	2	6—4	4
ნორვეგია	1	0	3	4—13	2

VI ჯგუფი

ესპანეთი, იუგოსლავია, ბელგია, ფინეთი. ახლა რომ იწყებოდეს ამ 4 გუნდის ტურნირი, როგორ განაწილებდით ფავორიტებს მონაწილეთა შორის? ალბათ, ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ჩვენა გვაქვს ჩამოწერილი, ან, შეიძლება, ადგილები შეეცვალოთ ესპანეთს და იუგოსლავიას.

ეს თქვენ ფიქრობთ ასე. ასე ფიქრობდნენ სპეციალისტები და მიმომხილველებიც, რომლებსაც ენანებოდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მიღმა უნდა დარჩენილიყო ერთ-ერთი ამ გუნდთაგანი. მოხდა კი სულ სხვაგვარად. მოხდა ნამდვილი საფეხბურთო სენსაცია: დვითმა (ბელგია) დაამხო ორი გოლიათი (ესპანეთი და იუგოსლავია).

სენსაციის ავტორებმა ევროპაში ყველაზე ადრე გაინაღდეს მეხიკოს საგზური: ბელგიელებმა ორჯერ დაამარცხეს ფინეთის ნაკრები (4 ქულა), მოუგეს იუგოსლავიელებს (2 ქულა) და მადრიდში ფრედ ითამაშეს ესპანელებთან (1 ქულა). ეს ყველაფერი მოხდა 1968 წელს. 7 ქულა 8 შესაძლებლიდან!

ბელგიელებმა ამის შემდეგ ლიეჟში მიიღეს ესპანეთის ნაკრები, დაამარცხეს იგი (2:1) და საბოლოოდ მოათავეს საქმეები თავიანთ ჯგუფში. ეს დამარცხება ესპანელთა მწვრთნელს ეტობას თავისი პოსტის დატოვებად დაუჯდა, ბელგიის ნაკრების მწვრთნელი რ. გუტალსი კი დიდების ზენიტში მოექცა. ევროპის თასის 1964 წლის მფლობელს ესპანეთს და ევროპის ვიცე-ჩემპიონს იუგოსლავიას IX მსოფლიო ჩემპიონატის სანახაგად დარჩათ მხოლოდ ერთი საშუალება — ტელევიზია.

ბელგიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ასეთია: პაიატი, ჰეილენპაი, ტაისენი, ერლო, ჯოკი, ჰეხონი, პოლეუნისი, ვან მური, ლამბერი, ვან ჰიფსტი, პუი.

ბელგია	4	1	1	14—8	9
იუგოსლავია	3	1	2	19—7	7
ესპანეთი	2	2	2	10—6	6
ფინეთი	1	0	5	6—28	2

VII ჯგუფი

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონატებში: ბოლო ხუთ გათამაშებაში იგი უცვლელად გადიოდა ფინალში, იყო ოქროს ქალღმერთის თასის მფლობელი და ინგლისში ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა. შოტლანდია, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატებში ვერ დაიკვეხნის ხერხიანი მაჩვენებლებით, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო ფეხბურთში. ამიტომ ამ ჯგუფიდან სწორედ ეს ორი გუნდი ითვლებოდა ფინალში გასვლია კანდიდატებად. მართალია, ავტორიტეტს შეეძლოთ გარკვეული კონკურენცია გაეწიათ მათთვის (კვიპროსის გუნდს სათვალავში არავინ აგდებდა), მაგრამ მათ პირველი წრის ორივე შეხვედრა წააგეს გერმანელებთანაც და შოტლანდიელებთანაც და ფაქტიურად გამოეთიშნენ I ადგილისთვის ბრძოლას.

ბევრი რამ გადაწყდა 16 აპრილს გლასგოში, სადაც შოტლანდიელებმა „ჰემპდენ-პარკში“ მიიღეს გფრ-ის ნაკრები. შოტლანდიელთა მწვრთნელი ბ. ბრაუნი ამ მატჩზე დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ გუნდმა მას არ გაუმართლა. ეს განსაკუთრებით ეხებათ თავდამსხმელებს, რომლებმაც ვერაფერი მოუხერხეს მაჭრზე ბოლოსაღმდეგე მეკარე ვოლტერს. კიდევ მეტიც: პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს (მიულერი) და მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, მერდოკმა გადაარჩინა შოტლანდიელთა გუნდი — 1:1.

22 ოქტომბერს მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად, ჰამბურგში. ზედმეტია ლაპარაკი მატჩის დაძაბულობაზე, სადაც 5 ბურთი იქნა გატანილი. ფრე არც ერთ მხარეს არ აძლევდა ხელს და ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა მოგებისთვის. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, შემდეგ კი რამდენიმე რეალური შესაძლებლობა დაკარგეს. გერმანელებმა ჯერ გაქვითეს გოლი და მალე დაწინაურდნენ კიდეც — 2:1. 62-ე წუთზე გილზენმა კვლავ აღადგინა წონასწორობა — 2:2.

დარჩენილ დროში ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა. შოტლანდიელებმა ისევ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი, 78-ე წუთზე კი ლიბუდამ ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს — 3:2. გფრ-ის ნაკრები ამ გამარჯვებით გავიდა ფინალში.

ეს მატჩი გერმანელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: მაიერი, ჰეტგეკი, ფოგტსი, ბეკენბაუერი, შულცი, ფიჭტელი, ლიბუდა, ზელერი, მიულერი, ოვერატი, ჰალერი.

გფრ	5	1	0	20—3	11
შოტლანდია	3	1	2	18—7	7
ავსტრია	3	0	3	12—7	6
კვიპროსი	0	0	6	2—35	0

(გაგრძელება მე-3 გვ.).

ოქროს ჭალღვერთის 16 პრეტენდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგრძელება

VIII ჯგუფი

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი საკვალიფიკაციო ჯგუფი ევროპაში, რომელსაც არ გააჩნდა აშკარად გამოკვეთილი ლიდერები და აუტსაიდერები. ბულგარეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი — ეს დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდებია, ამდენად, პროგნოზისტებს უძნელდებოდათ გამარჯვებულის დასახელება, თუმცა, გარკვეული უპირატესობა მაინც ბულგარეთის ნაკრებს ენიჭებოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი 1962 და 1966 წლებში ზედიზედ იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების მონაწილე.

ბულგარელებმა გაუმართლეს იმედები თავიანთ გულშემატკივრებს, მაგრამ მათი გზა I ადგილისკენ ია-ვარდით არ იყო ფენილი. მათ ძლიერი კონკურენცია გაუწია პოლონეთის ნაკრებმა და მხოლოდ ბოლო მატჩის მოგებამ ლუქსემბურგთან შეუქმნა ს. ბოკკოვის გუნდს მექსიკაში გამგზავრების შესაძლებლობა.

პირველი წრის თამაში სოფიაში ბულგარელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს პოლონეთის გუნდს — 4:1. ვარშავაში აღებულ იქნა სრული რეკანში — 3:0. პოლონელებმა ყველა თამაში მოათავეს და 8 ქულა დააგროვეს, ბულგარეთის ნაკრებს კი (7 ქულა) ერთი მატჩი ჰქონდა თადარიგში (ლუქსემბურგთან). სწორედ იმ თამაშის მოგებამ მისცა მას შესამედ ფინალში გასვლის საშუალება — 3:1.

ბულგარეთის ნაკრები მუდამ გამოირჩეოდა საუცხოო ფიზიკური მომზადებით, მაღალი სანებისყოფო თვისებებით, მყარი დისციპლინით. ამ ბოლო წლებში მის შემადგენლობაში გამოჩნდნენ მაღალი ინდივიდუალური კლასის მოთამაშეებიც. ასეთთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, ასპარუხოვი, ქაკოვი, დერმენჯიევი, სიმეონოვი, გაგანელოვი. პ. ქეკოვმა ფრანგული გაზეთის „ფრანს-ფუტბოლის“ სპეციალური პრიზიც მიიღო, როგორც საუკეთესო სნაიპერმა.

როგორ ითამაშებენ მექსიკაში ბულგარელები, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ დავუჯერებთ ბოკკოვს, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უკეთეს შედეგს მიაღწიოს, ვიდრე წინა ფინალურ თამაშებში.

ბულგარეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში შედიან: სიმეონოვი, შალამანოვი, დიმიტროვი, გაგანელოვი, ქეზეევი, პენევი, დერმენჯიევი, ბონევი, ასპარუხოვი, იაკიმოვი, ქეკოვი.

ბულგარეთი	4	1	1	12—7	9
პოლონეთი	4	0	2	19—8	8
ჰოლანდია	3	1	2	9—5	7
ლუქსემბურგი	0	0	6	4—24	0

IX ჯგუფი

ეს სიმბოლური ჯგუფია, ვინაიდან მის ერთადერთ მონაწილეს — ინგლისს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, მოწინააღმდეგე არა ჰყოლია. იგი უშუალოდაა დაშვებული ფინალში.

რა უნდა ექნათ ინგლისელებს იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო თამაშობდა ფეხბურთს და მომავალი ჩემპიონატისთვის ემზადებოდა? მჯდარიყვნენ უქმად? რასაკვირველია, არა. ა. რამსეიმ საწვრთნელ პოლიგონად აირჩია უპირველესად ყოვლისა მექსიკა, შემდეგ — ურუგვაი და ბრაზილია. იგი არ შეუშინდა არც მეხიკოსა და გვადალახარის სიმაღლეს, არც ბრაზილიელებისა და ურუგვაელების სიძლიერეს და ნამდვილ ბრძოლაში გამოსცადა თავისი გუნდი.

ინგლისელებმა მეხიკოში ფრედ ითაზაშეს მექსიკის ნაკრებთან (0:0), გვადალახარაში კი გამარჯვებას მიაღწიეს (4:0). შემდეგ მათ მონტევიდეოში მოუგეს ურუგვაელებს — 2:1 (პირველად თავიანთი არსებობის ისტორიაში) და რიო-დე-ჟანეიროში დამარცხდნენ ბრაზილიის ნაკრებთან — 1:2.

როგორ შეიძლება შეფასდეს ჩემპიონთა ეს გამოსვლები ამერიკის კონტინენტზე? ძნელი სათქმელია. თვით რამსეი საკმაოდ ბუნდოვანი განცხადებებით გამოდიოდა პრესაში, ცვლიდა შემადგენლობას, ეძებდა ახალ ფეხბურთელებს (იგი, მაგალითად, დიდ იმედებს ამყარებს ახალ ცენტრალურ ფორვარდ ფ. ლიზე). ბრაზილიელებთან წაგების შემდეგ რამსეიმ მხოლოდ ესა თქვა, რომ ანგარიში 1:2 გაცილებით უკეთესია 1:5-ზე, რომლითაც ინგლისმა დამარცხება იწვნია ამავე გუნდთან 1964 წელს.

რამსეი ბოლომდე ერთგულია თავისი პრინციპისა, რომ წინასწარ მოფიქრებულ ტაქტიკას კი არ შეურჩიოს მოთამაშეები, არამედ, პირიქით, შეადგინოს ისეთი ტაქტიკური გეგმა, რომ გამოიყენოს ყველა თავისი უძლიერესი ფეხბურთელი. ამას გარდა, იგი წერს: „ისეთ ბრძოლებში, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი, ძნელია იცხოვრო ნიჭიერი ინდივიდუალის ზეშთაგონებული თამაშის იმედით. ფეხბურთი იყო და არის გუნდური თამაში. ამიტომ მეც ყველაზე უფრო კოლექტივიზმს ვაფასებ. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში უფრო დაძაბულად ჩაივლის, ვიდრე ინგლისში. ყოველი ახალი ზღუდე უფრო მაღალია. ჩვენ შეძელით დაგვეძლია ერთი 1966 წელს, ახლა წინ ახალი ზღუდე გვაქვს. ბევრი ფიქრობს, რომ ვერ შევინარჩუნებთ ოქროს ქალღმერთს, მაგრამ ბევრი იმასაც ამბობდა, რომ ინგლისშიც ვერ მოვიგებდით მსოფლიო ჩემპიონობას“...

დაბოლოს, მოვიყვანთ ინგლისელთა გუნდის შემადგენლობის ერთ-ერთ ვარიანტს (მატჩში ბრაზილიელებთან): ბენჭი, ნიუტონი, კუპერი, მიულერი, ლეგონი, მური, ბოლი, ბელი, ბ. ჩარლტონი, ჰერსტი, პიტერსი. აქედან 5 მოთამაშე გამოდიოდა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გფრ-ის ნაკრებთან.

X ჯგუფი

სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო წრეების წარმომადგენლებს უყვართ ხოლმე თქმა, რომ სიურპრიზები და „უკანონობანი“ — ეს ევროპული ფეხბურთის საქმეა და რომ მათთან სპორტული იერარქია არ ირღვევა. 3 „გრანდი“ — ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი — მუდამ რჩება თავის სიმაღლეზე.

ვითომ ასეა ეს? ჩვენ გვახსოვს, როცა 1958 წელს პარაგვაიმ შესარჩევ ჯგუფში დაამარცხა ურუგვაი. ახლა? ახლა კიდევ უფრო დიდი საოცრება მოხდა: პერუელებმა, ფეხბურთის ამ დიდტანტებმა, ფარ-ხმალი დააყრევინეს თვით არგენტინას და მისი ადგილი დაიკავეს ფინალურ გათამაშებაში. ესეც არაფერი: ამ ჯგუფში არგენტინელები II ადგილზეც კი ვერ გავიდნენ და ბოლივიის ნაკრებსაც ჩამორჩნენ.

რაშია საქმე? რატომ დაკნინდა ასე არგენტინული ფეხბურთი?

ამ ქვეყანაში არსებობს კლუბების კულტი. მათი მეპატრონეები არაფერს იშურებენ საკუთარი ინტერესებისათვის და ეროვნული ნაკრების პრობლემები ოდნავადაც არ აწუხებთ. კლუბებსა და ნაკრებს შორის გაუთავებელი კინკლაობაა, მწვრთნელები იცვლებიან ისე, რომ ვერც ასწრებენ ხეირიანად მოაბან საქმეს თავი. ნაკრების ერთობლივი წვრთნის ჩატარება, თუნდაც ცოტა ხნით, უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამას გარდა, საუკეთესო არგენტინელი მოთამაშეები მოფენილი არიან ამერიკისა და ევროპის ბევრ ქვეყანაში, თვით ბრაზილიაშიც კი. მათი უკან მოწვევისთვის მაინცდამაინც არავის ცხელა. აი, ის უმთავრესი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი „გრანდის“ აბსოლუტური ფიასკო.

ახლა რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულზე — პერუს ნაკრებზე.

პერუელ ფეხბურთელთა უმთავრესი თვისებებია ენერგია, გამძლეობა, შეუდრეკელი ნებისყოფა.

— ეს საკუთარ თავზე გამომიცდია, — ამბობს პერუს ნაკრების მწვრთნელი, ჯანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დიდი. — მათ არ ჰყოფნიდათ ტექნიკა. ჩამორჩებოდნენ ტაქტიკაშიც, მაგრამ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ბევრი ვიმუშავეთ და მივაღწიეთ კიდეც მიზანს. მდიდარმა ბუნებრივმა მონაცემებმა თავისი გაიტანა. შემძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ამიერიდან პერუ აღარაა ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყანა.

დიდიმ დაუფასებელი სამსახური გაუწია საფეხბურთო პერუს. მისი შერჩევით აქ მოიწვიეს რამდენიმე ცნობილი უცხოელი მწვრთნელი, მაღალი კლასის ფეხბურთელი, ხშირად ჩამოჰყავთ ძლიერი გუნდები საზღვარგარეთიდან. ყოველივე ამან ნაყოფიც გამოიღო — პერუ ფინალშია! გუნდის ძირითადი შემადგენლობა ასეთია: რუბინოსი, კამპოსი, ტორე, კამპიტოსი, რეშიო, კრუზადო, ჩაპლე, ბოლონი, ლეონი, კუბილასი, გოლარდო.

პერუ	2	1	1	7—4	5
ბოლივია	2	0	2	5—6	4
არგენტინა	1	1	2	4—6	3

XI ჯგუფი

საფეხბურთო ბრაზილია ახლა ერთი იმედით ცხოვრობს: დაიბრუნოს 1958-62 წლებში ორჯერ მოპოვებული ოქროს ქალღმერთის თასი და სამუდამოდ დაიტოვოს იგი. ამ ინტერესს ემსახურება ახლა აქ ყველაფერი. ვ. ფეოლას მიერ შექმნილი დიდი გუნდიდან ამჟამად მოქმედი მოთამაშეა მხოლოდ პელე, მაგრამ ძველი ტრადიციები ცოცხლობს და ახალი მწვრთნელი ჟ. სალდანიასულ იმის ცდაშია, თავისი გუნდი იმ პირველხარისხოვან ფეხბურთელთა თავშეყრად კი არ აქციოს, რომელთა რაოდენობა ბრაზილიაში საკმარისზე გაცილებით მეტია, არამედ შექმნას სტაბილური, მონოლითური, მებრძოლი კოლექტივი. ამიტომაა, რომ მწვრთნელი იშვიათად ცვლიდა თავისი გუნდის შემადგენლობას შესარჩევ თამაშებში.

— ბევრი ფეხბურთელი კლუბებს სჭირდებათ,—თქვა მან. — ნაკრებში უნდა იყოს ის, ვინც მართლა ძლიერია და ამასთან — საჭიროც.

სალდანიამ ბრაზილიის ნაკრებს საფუძვლად დაუდო „სანტოსი“. ამ სიახლემ მკაცრი კრიტიკა გამოიწვია ფართო წრეებში, კერძოდ, რიო-დე-ჟანეიროში, საიდანაც გუნდში მოხვდა მხოლოდ ერთი მოთამაშე — გერსონი. მაგრამ კრიტიკა კრიტიკად, მწვრთნელს კი ჯერჯერობით ხერიოზულად ვერაკინ ვერაფერს აყვედრის, ვინაიდან ნაკრებს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს და ყოველმხრივ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს. და მერე, სალდანიას მხარს უჭერს პელე, პელეს სიტყვა კი ბრაზილიაში იგივეა, რაც პრეზიდენტის ბრძანება. აი, რა თქვა გამოჩენილმა ფეხბურთელმა:

— მე მთლიანად ვეთანხმები ჩვენი მწვრთნელის გადაწყვეტილებას და არა იმიტომ, რომ სანტოსელი ვარ. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ შეხმატკბილებული, კვალიფიციური საკლუბო ანსამბლი, თუნდაც იგი თავისი ცალკეული წევრების საშეძსრულებლო ოსტატობით ჩამორჩებოდეს სხვა კლუბების ცალკეულ ოსტატებს, იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ მოსამზადებლად არ საჭიროებს ხანგრძლივ შეკრებებს. ასეთი ანსამბლი ყოველთვის მზადყოფნაში გახლავთ და მუდამ ბრძოლისუნარიანია.

რა შეიძლება ითქვას? ცხადია, ბრაზილიელები მზად არიან ფინალური თამაშებისთვის, თუმცა მწვრთნელს ძალიან აწუხებს ცენტრალური თავდამსმელის ტოსტაოს თვალის ოპერაცია. მას სურს, აგრეთვე. იტალიიდან მოიწვიოს ამარილდო.

ბრაზილიის ნაკრები ახლა ასე გამოიყურება: ფელიჩი, ალბერტო, დიასი, ფოელი, რილდო, პიაცა, გერსონი, ჟაირზინიო, პელე, ტოსტაო, ედუ.

ბრაზილია	6	0	0	23—2	12
პარაგვაი	4	0	2	6—5	8
კოლუმბია	1	1	4	7—12	3
ვენესუელა	0	1	5	1—18	1

XII ჯგუფი

ურუგვაიში ახლა პირზე აკვრიათ რომელიღაც ჟურნალისტის მიერ წარმოთქმული კალამბური, რომ ურუგვაის ფეხბურთი ზუსტად ყოველი 20 წლის ინტერვალით იგებს მსოფლიო ჩემპიონობას: პირველი იყო 1930 წელს, მეორე — 1950, მესამე კი იქნება 1970 წელს.

იქნება კი? მართალია, საკვალიფიკაციო ტურნირი ურუგვაელებმა ჩილესა და ეკვადორის გუნდებთან მოიგეს მხოლოდ 1 ქულის დანაკარგით და თანაც თავიანთ კარში არც ერთი ბურთი არ მიუღიათ (ერთადერთი შემთხვევა ყველა შესარჩევ ჯგუფში), მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ურუგვაიში ახლა ნაკლებად არიან ვარსკვლავები, რომლებიც მუდამ იყვნენ ამ ქვეყანაში. ამას გარდა, ორი უძლიერესი კლუბის — „პენიაროლისა“ და „ნასიონალის“ ქიშპობა მძიმედ ემჩნევა ეროვნულ ნაკრებს. დაუმატეთ ამას ურუგვაელ ფეხბურთელთა ამასწინანდელი გაფიცვაც...

გადამწყვეტი მატჩი ურუგვაელებმა შინ მოუგეს ჩილის ნაკრებს — 2:0. 75.000 მაყურებელი აღფრთოვანებული მიეგება თავისი გუნდის ამ წარმატებას, მაგრამ თვით ურუგვაელთა მწვრთნელი ხ. ხოხბერგი ვერ იყო მაინცდამაინც კარგ ხასიათზე.

— ვისი იმედი გაქვთ? — განაცხადა მან. — მეკარე მაზურკევიჩი და 2 ნამდვილი ფორვარდი: როჩა და კუბილა. აი, ესაა ურუგვაის ნაკრების მთელი აქტივი. განა ეს გვეყოფა მექსიკაში?

მწვრთნელის პესიმიზმი შეიძლება გადაჭარბებულია და საკუთარი თავის დასაზღვევადაა გამოთქმული. ამას მომავალი გვაჩვენებს.

ურუგვაელთა საბრძოლო შემადგენლობა გადამწყვეტ მატჩში ჩილიელებთან ასეთი იყო: მაზურკევიჩი, ნაჩეტო, მატოსასი, მონტერო, კასტილო, კეტანო, კუბილა, როჩა, სილვა, კორდესი, ბორენო.

ურუგვაი	3	1	0	5—0	7
ჩილი	1	2	1	5—4	4
ეკვადორი	0	1	3	2—8	1

XIII ჯგუფი

ცენტრალურ ამერიკაში ბევრი დიდი და პატარა ქვეყანაა განლაგებული, ყველა მათგანს სურს მსოფლიო პირველობაში მონაწილეობა. ყველას, ვინც ფიფა-ს წევრია, აქვს ამის უფლება და საორგანიზაციო კომიტეტიც იძულებულია ქვეჯგუფებად დაჰყოს ხოლმე ეს ქვეყნები. აქ შექმნილი იქნა 4 ქვეჯგუფი: ა) კოსტარიკა, ჰონდურასი, იამაიკა; ბ) გვატემალა, ტრინიდადი, ჰაიტი; გ) სალვადორი, სურინამი, ჰოლანდიის ვესტინდოეთი; დ) აშშ, ბერმუდი, კანადა. ამ ჯგუფს ოფიციალურად ჰქვია ჩრდილოეთი, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნები.

ქვეჯგუფებში გაიმარჯვეს ჰონდურასმა, ჰაიტიმ, სალვადორმა, აშშ-მ, ნახევარფინალებმა კი წარმატება მოუტანეს სალვადორსა და ჰაიტის.

პირველი ფინალური მატჩი შედგა ჰაიტელთა მინდორზე და დამთავრდა სალვადორის გამარჯვებით — 2:1. ამ უკანასკნელს შინ ფრეც ჰყოფნიდა ღა არც უნდა გასჭირებოდა ამ ერთი ქულის აღება, მაგრამ სალვადორის გუნდმა საკუთარ მინდორზე სასტიკი მარცხი განიცადა — 0:3. საჭირო შეიქნა მესამე, დამატებითი შეხვედრის ჩატარება ნეიტრალურ მინდორზე, იამაიკაში. 90 წუთი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. დამატებით დროში სალვადორელთა მარჯვენა გარემარბმა მარტინესმა თავით გაიტანა ერთადერთი გოლი, რომელმაც გამარჯვება და მასთან ერთად ფინალში მონაწილეობის უფლება მოუტანა მის გუნდს (ფერნანდესი, რივასი, მარიანა, ვასკეზი, მონგანო, ფლამენკო, კვინტანილა, როდრიგესი, ომნუ, მარტინესი, ასევედო).

რა შეიძლება ითქვას სალვადორის გუნდზე, ან საერთოდ XIII ჯგუფის წარმომადგენლებზე? ბევრი არაფერი. მაღალი კლასის ფეხბურთელები აქ თითებზე არიან ჩამოსათვლელი, თუმცა ამ ჯგუფმა მაინც მოახდინა გარკვეული სენსაცია, მაგრამ არა საფეხბურთო მინდორზე, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ სამყაროში.

ეს მოხდა სალვადორისა და ჰონდურასის გუნდების მატჩში. ჰონდურასმა სალვადორელ გულშემატკივრებს ბრალი დასდო იმაში, რომ ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ მის გუნდს და გამომწვევად ეჭირათ თავი სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას. სალვადორმაც ზუსტად ასეთივე ოფიციალური ბრალდება წაუყენა ჰონდურასს იმ დამატებით, რომ ნაციონალიზმის გრძნობით გაშმაგებულმა ჰონდურასის ხელისუფლებამ ათეულ ათასობით უდანაშაულო სალვადორელი გააძევა თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მათს ქონებას კონფისკაცია უყო.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა. საქმე მივიდა საომარ მოქმედებამდეც. აი, ასე გამწვავდა მდგომარეობა ამ ორ სახელმწიფოს შორის, მაგრამ საინტერესოა კიდევ ერთი რამ: ჰონდურასმა თავის მინდორზე მოუგო სალვადორს — 1:0, სალვადორმა შინ აიღო რევანში — 3:0. მესამე, გადამწყვეტი მატჩი მეხიკოში, აცტეკის სტადიონზე ისევ სალვადორელებმა მოიგეს — 3:2. მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები იქცეოდნენ როგორც ნამდვილი ჯენტლმენები, თამაშობდნენ კორექტულად და ცუდი არ იქნებოდა ამ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებიც ასევე კეთილშობილურად მოქცეულიყვნენ...

სალვადორი	2	0	1	3—4	4
ჰაიტი	1	0	2	4—3	2

XIV ჯგუფი

ესეც ნომინალური ჯგუფია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის სტატუსის მიხედვით ეკუთვნის მასპინძელს — მექსიკას.

როცა ვლაპარაკობთ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელზე, თუნდაც ეს არ იყოს პირველხარისხოვანი გუნდი, მას უეჭველად უნდა მივაკუთვნოთ განსაკუთრებული როლი და საგანგებო ანგარიშიც გავუწოოთ. ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართოთ უბრალო სტატისტიკას: განვლილ 8 მსოფლიო ჩემპიონატში მასპინძლებმა სამჯერ დაიკავეს I ადგილი, ორჯერ — II, ერთხელ — III და მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ მეოთხეფინალში (V-VIII ადგილები), ე. ი. ვინც შინ თამაშობს ამ უდიდეს საფეხბურთო ფორუმზე, იგი მაქსიმალურად იყენებს ყველა იმ ხელშემწყობ პირობას, რომლებსაც მას საკუთარი კედლები უქმნიან. ჩკენ კი ვიცით, რომ მექსიკას განსაკუთრებული, სპეციფიკური პირობები აქვს, რის გამოც ყველა იქ ჩასულ გუნდს ძალიან გაუძნელდება აკლიმატიზაციის გავლა, თანაც, მექსიკელები პირველად არ თამაშობენ მსოფლიო პირველობის ფინალში და შესაბამისი გამოცდილებაც აქვთ.

მექსიკელებს თავიანთი მზადების ერთ-ერთ მთავარ ეტაპად მიაჩნდათ საგაზაფხულო ტურნე ევროპაში, სადაც მათ საკმაოდ ვრცელი პროგრამა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან. რა მისცა ამ ტურნემ სტუმრებს? ფრე პორტუგალიასთან და ესპანეთთან, წაგება ლუქსემბურგის, ბელგიის, დანიისა და შვეიცის გუნდებთან და ერთადერთი მოკრძალებული გამარჯვება ნორვეგიელებთან. ბალანსი, როგორც ხედავთ, ერთობ შორს დგას დამაკმაყოფილებელისგან. მაგრამ მხოლოდ ამით შეუძლებელია განვსაზღვროთ მექსიკელთა ბედი მომავალ ფინალურ მატჩებში. ისინი მასპინძლები არიან და ტყუილუბრალოდ არავის არაფერს გაატანენ „სახლიდან“.

უმეტეს მატჩებს მექსიკის ნაკრები ასეთი შემადგენლობით ატარებს: კასტრიონი, ოლეანდრესი, პენა, ნუნიესი, ჰერესი, გონზალესი, მუნგისანი, ბუსტოსი, ბორხა, ესტრადა, ვიქტორინო.

XV ჯგუფი

ნინასწარ შედგენილ გეგმაში, ქაღალდზე ყველაფერი კარგად ჩანდა. შეიქმნა აზიის, ავსტრალიის და ოკეანიის 2 ქვეჯგუფი: ა) იაპონია, სამხრეთ კორეა, როდეზია, ავსტრალია; ბ) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ისრაელი, ახალი ზელანდია. გამარჯვებულებს ერთმანეთთან ორ მატჩში უნდა გაერკვიათ, თუ ვინ იქნებოდა მექსიკის ბილეთის მფლობელი.

მაგრამ აქ ყველაფერი აირია. კონფლიქტებს ბოლო არ უჩანდა, ბევრმა ფედერაციამ მოსწყინა თავისი კანდიდატურა. არავინ იცოდა, სად რა მოხდა, ან მოხდებოდა, ან რატომ შეიყვანეს როდეზია — აფრიკის ეს ქვეყანა აზიისა და ავსტრალიის ჯგუფში. ალბათ იმიტომ, რომ როდეზია რასისტული ქვეყანაა და აფრიკის სახელმწიფოებთან მისი შეყვანა პოლიტიკურ კონფლიქტებს გამოიწვევდა. ავსტრალიელ ფეხბურთელებს ათეულ ათასობით კილომეტრების გავლა დასჭირდათ თავიანთი თამაშების ჩასატარებლად. ასევე ახალი ზელანდიის გუნდსაც. ერთი სიტყვით, XV ჯგუფში შექმნილი ქაოსი მთლიანად ფიფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის არაორგანიზებულობის ბრალია.

ბოლოს, ფიფა-ს მრავალი კონსულტაციის შემდეგ, XV ჯგუფმა ასეთი სახე მიიღო: ავსტრალია, იაპონია, ისრაელი, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა და როდეზია. მდგომარეობის სტაბილიზება ვერც ამის შემდეგ მოხერხდა და საბოლოოდ შესარჩევ თამაშებს ამ ჯგუფში ფიქციის ხასიათი მიეცა.

ფინალში გავიდნენ ისრაელისა და ავსტრალიის გუნდები. პირველი მატჩი შედგა ტელ-ავივში, რომელიც მოიგეს ისრაელებმა — 1:0. განმეორებითი შეხვედრა სიდნეიში ავსტრალიელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათი თავდამსხმელები ფუჭად ამთავრებდნენ თავიანთ შეტევებს. მასპინძლებმა გაუშვეს პირველი ბურთი საკუთარ კარში და მერე ძლივს აღადგინეს წონასწორობა — 1:1. ისრაელის ნაკრები გავიდა მეხიკოს 16 ფინალისტს შორის.

საინტერესო განცხადება გააკეთა ისრაელელთა მწვრთნელმა ე. შაფერმა, როცა მას მომავალი გეგმების თაობაზე შეკითხვით მიმართეს ჟურნალისტებმა.

— ყველაზე უმთავრესია ის, რომ მექსიკაში წავალთ ჩვენ, ხოლო გაცილებით უფრო ძლიერი და გამოცდილი გუნდები დარჩებიან შინ.

ისრაელი	1	1	0	2—1	3
ავსტრალია	0	1	1	1—2	1

(დასასრული მე-4 გვ.).

ოქროს ქალღვერთის 16 პრეტენდენტი

დასასრული

XVI ჯგუფი

აფრიკა კარგა ხანია იბრძვის, რომ თავისთვის მიიღოს ერთი, წინასწარ განკუთვნილი ადგილი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ბევრჯერ იყო ლაპარაკი ამის თაობაზე და როცა VIII მსოფლიო ჩემპიონატში ერთ შესარჩევ ჯგუფში იქნა გაერთიანებული 3 კონტინენტი — აფრიკა, აზია და ავსტრალია, „შავი კონტინენტი“ ამბოხდა: ფიფა-ს სახელზე პროტესტები დაწერეს მაროკომ, განამ, ტუნისმა. მათ შეუერთდნენ სხვებიც.

კომპრომისი მოხდა და ჟიულ რიმეს თასის IX გათამაშებისთვის აფრიკას განეკუთვნა 1 ადგილი. ამ ვაკანსიის შესავსებად შეიქმნა ასეთი ქვეჯგუფები: ა) ალჟირი, ტუნისი; ბ) მაროკო, სენეგალი; გ) ეთიოპია, ლიბია; დ) სუდანი, ზამბია, ე) კამერუნი, ნიგერია, განა.

მრავალსაფეხურიანი გათამაშების შემდეგ გამოვლინდა გადამწყვეტი ტურნირის 3 მონაწილე: მაროკო, ნიგერია, სუდანი. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლაში მიმდინარეობდა მაროკოელთა ბრძოლა ტუნისის ნაკრებთან. პირველ ორ მატჩს შედეგი არ მოუცია — 0:0, 0.0. მესამე შეხვედრა გაიმართა ნეიტრალურ მინდორზე — მარსელში. არც აქ გამოვლინდა გამარჯვეული— 120 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 2:2. მაშინ მიმართეს უკანასკნელ საშუალებას — წილისყრას. მსაჯის მიერ ჰაერში ასროლილი მონეტა გაგორდა ბოლამზე, გადაბრუნდა და... მაროკოელთა აღტაცებული კაპიტანი კისერზე ჩამოეკიდა მსაჯს. ფორტუნამ მაროკოს გუნდს გაუღიმა.

აფრიკელები ერთხელ, 1934 წელს უკვე მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ეს იყო ეგვიპტის გუნდი, რომელმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია უნგრეთის ძლიერ ნაკრებს (2:4), ახლა კი ფეხბურთელთა უმაღლეს მსოფლიო ფორუმში გამოვა მაროკოს ნაკრები.

სპორტული მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ მაროკოელ ფეხბურთელებს და დასძენენ, რომ მარსელის სტადიონზე ასროლილმა მონეტამ სწორედ ღირსეულს მიაკუთვნა უპირატესობა. თუ ეს ასეა, მექსიკის სტადიონებზე მაროკოს ნაკრებმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა გაამართლოს აფრიკის მიერ ბრძოლით მიღებული ადგილი ფინალში. გუნდის შემადგენლობაში თამაშობენ: ალი, აბდალახი, სლიმანი, მულეი, ბუმა, ფილალი, მარუფი, საიდი, ხაუმანი, ფარასი, გაზოუნი.

მაროკო	2	1	1	5—3	5
ნიგერია	1	2	1	8—7	4
სუდანი	0	3	1	5—8	3

* * *

აი, ასეთია ფინალისტთა გზა მექსიკის გადამწყვეტი მატჩებისკენ. ბრძოლა იყო ხანგრძლივი, ძნელი, დამქანცავი. ახლა უნდა ვუცადოთ 10 იანვარს, როცა ფიფა-ს სპეციალურ სხდომაზე მოხდება ფინალისტთა დანაწილება ოთხ ჯგუფად.

დღემდე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდა სულ რვაჯერ. არსებითად ესაა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ორთაბრძოლა, რომლებსაც თანაბარი წარმატება აქვთ — 4-4 გამარჯვება. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა თქვა, რომ ოქროს ქალღმერთს აქვს ორი ფრთა: ერთი სამხრეთამერიკული, მეორე — ევროპული. საინტერესოა, ახლა ვინ დაწინაურდება?

დაბოლოს, მექსიკის სტადიონების შესახებ. მექსიკური გაზეთები იტყობინებიან, რომ იმ ქალაქების სტადიონები, სადაც ჩატარდება ფინალური მატჩები, ერთდროულად იტევენ 300.000-მდე მაყურებელს. ესენია: „აცტეკი“ მეხიკოში (115.000 ადგილი), „ხალისკო“ გვადალახარაში (72.000), სტადიონი ქ. ლეონში (45.000), „ლუის-გუტიერეს-დოზალი“ ტოლუკში (30.000) და სტადიონი ქ. პუებლოში (35.000).

ბ. ქორქია.

დიდი საჭადრაკო ზეიმი

ქართული ჭადრაკის ჟამთაღმწერელი მუდამ დიდი კმაყოფილებით მიიგონებს ვ. გოგლიძის მემორიალს. საერთაშორისო ქართველი მოჭადრაკის სახელმა ბრწყინვალეა შემატა ისედაც თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირს. მემორიალის შედეგებმა სიხალისე შეიტანეს საჭადრაკო სამყაროში. კვლავ გაიელვა ტალის გენიამ. გურგენიძემ ფრთები შეასხა ჩვენი ჭადრაკის ქომაგებს — ქართველი მოჭადრაკეებიდან პირველმა შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი.

ის, ვინც ესწრებოდა მემორიალს რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში, ალბათ არასოდეს დაივიწყებს ტალის იერიშებს ა. სუეტინისა და ნ. სპირიდონოვის, რ. ჯინჯიხაშვილისა და ლ. მაშიჩის მეფეებზე, მის შთამბეჭდავ კომბინაციებს, გურგენიძის მძაფრ ბრძოლას რ. ხოლმოვთან და ა. ლეინთან, ტალისა და რ. ფუქსის პარტიაში გამართულ პოზიციურ ჭიდილს...

ტალის გამარჯვება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ არის. გვაფიქრებდა მხოლოდ მისი ჯანმრთელობა, რომელიც, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაუმჯობესდა.

ვფიქრობთ, არც ქართველი მოჭადრაკის წარმატებაა გასაკვირი. გურგენიძეს სარბიელზე 1949 წლიდან ვხედავთ. 1955 წელს 22 წლის ბუხუტი რიგაში სპორტის ოსტატი გახდა. 1957 წელს მან პირველად ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატში, შემდეგ კიდევ შვიდჯერ. იყო ამ შეჯიბრების მონაწილე. მან წარმატებით ითამაშა სოფიის (1958 წ.), თბილისის (1965 წ.), ბათუმის (1966 წ.) და კისლოვოდსკის (1968 წ.) საერთაშორისო ტურნირებში, ოთხჯერ მონაწილეობდა სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო პირველობაში (ორჯერ ჩემპიონი იყო), რვაჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ყველა ამ ტურნირში

გუშინ თბილისში დაიხურა ვ. გოგლიძის მემორიალი

შეძენილმა მდიდარმა გამოცდილებამ, თეორიის ცოდნამ და ნანა ალექსანდრიასთან მუშაობამ განაპირობა გურგენიძის თვალსაჩინო შემოქმედებითი ზრდა.

1970 წლის სექტემბერი, XIX საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში, მიუნჰენის მახლობლად გაიმართება ფიდე-ს 42-ე კონგრესი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გურგენიძისთვის დიდოსტატის წოდების მინიჭების საკითხსაც განიხილავს.

ვ. ჰორტის წარმატებაც სავსებით კანონზომიერია. პირდაპირ საოცარია, როგორ შეძლო მან — მალორკას ამასწინანდელი ტურნირის პრიზიორმა — ამდენი ენერგიისა და მხნეობის გამოჩენა.

ყველა მოჭადრაკის თამაშის დახასიათება შორს წაგვიყვანს. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა მოჭადრაკეებმა კვლავ ცხადყვეს უპირატესობა უცხოელ კოლეგებთან შედარებით.

ორიოდე სიტყვა მხოლოდ დ. ბრონშტეინსა და რ. ჯინჯიხაშვილზე.

— გრიპი მომერია და ვიწექი, როცა თბილისში სათამაშოდ მომიწვიეს, — მითხრა მოსკოველმა დიდოსტატმა. — უარის თქმა არ შემძლო: ვიქტორ გოგლიძისგან დიდად დავალებული ვარ: სამამულო ომის დროს 15 წლის ყმაწვილს თავშესაფარი და ლუკმა მიწყალადა. ავადმყოფი ყაიმების მეტს ვერაფერს ვაღწევდი. უნდა მაპატიონ ჩემმა გულშემატკივრებმა, მომავალ მემორიალში გამოვისყიდი „დანაშაულს“.

ჯინჯიხაშვილმა დიდი სპორტული ვაჟკაცობა გამოიჩინა. შუა ტურნირში მისმა წარუმატებლობამ გვაფიქრებინა, რომ იგი საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს ვერ შეასრულებდა, მაგრამ რომანმა ჩვეული სიმსუბუქით და დამჯერებლობით ითამაშა: დასკვნით სამ პარტიაში 2,5 ქულა მოაგროვა.

ჯინჯიხაშვილის სახით დიდი მომავლის მოჭადრაკე გვყავს.

მემორიალის შემოქმედებით მხარეზე ბევრი კარგი შეიძლება ითქვას, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ შეჯიბრებამ საჭადრაკო სამყაროს რამდენიმე მაღალმხატვრული, დიდოსტატური პარტია შესძინა, რომელთაგან ზოგიერთი „ლელოს“ ფურცლებზეც დასტამბა.

მემორიალი ჭეშმარიტად ვ. გოგლიძის ხსოვნის შესაფერი დიდი საჭადრაკო ზეიმი გახლავთ.

თ. გიორგაძე.

მემორიალის საგოლოო ცხრილი

			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	ქულა	ადგილი
მ.ტალი	სსრკ	1		0	½	1	1	½	1	½	1	½	½	½	1	½	1	1	10½	I-II
გ.გურგენიძე	—„—	2	1		½	½	1	½	1	0	1	½	1	1	½	½	½	1	10½	I-II
ვ.ჰორტი	ჩეხოსლ.	3	½	½		½	½	½	1	1	1	½	½	½	½	1	½	1	10	III
ა.სუეტინი	სსრკ	4	0	½	½		1	½	½	½	0	½	½	1	½	½	1	1	8½	IV-VI
ე.გუფელდი	—„—	5	0	0	½	0		½	½	½	1	1	½	1	1	½	1	½	8½	IV-VI
ვ.ჩოკილგია	რუმინეთი	6	½	½	½	½	½		½	½	0	½	½	½	½	1	1	1	8½	IV-VI
რ.ჯინჯიხაშვილი	სსრკ	7	0	0	0	½	½	½		1	1	½	0	0	1	1	1	1	8	VII-IX
ლ.შამკოვიჩი	—„—	8	½	1	0	½	½	½	0		0	½	1	1	½	½	½	1	8	VII-IX
ნ.სპირიდონოვი	ბულგარ.	9	0	0	0	1	0	1	0	1		1	½	½	1	½	1	½	8	VII-IX
დ.ბრონშტეინი	სსრკ	10	½	½	½	½	0	½	½	½	0		½	½	½	1	1	½	7½	X
რ.ხოლმოვი	—„—	11	½	0	½	½	½	½	1	0	½	½		½	½	½	0	½	6½	XI
რ.ფუქსი	გდრ	12	½	0	½	0	0	½	1	0	½	½	½		½	½	½	½	6	XII
ე.ჰაგი	უნგრეთი	13	0	½	½	½	0	½	0	½	0	½	½	½		½	0	1	5½	XIII
ე.ჯოსტრო	პოლონეთი	14	½	½	0	½	½	0	0	½	½	0	½	½	½		½	0	5	XIV-XV
ლ.მაშიჩი	იუგოსლ.	15	0	½	½	0	0	0	0	½	0	0	1	½	1	½		½	5	XIV-XV
ა.ლეინი	სსრკ	16	0	0	0	0	½	0	0	0	½	½	½	½	0	1	½		4	XVI

ჭიდაობის ასაკი — 60 საუკუნე

XX საუკუნეში აღმოჩენილი შუმერთა ცივილიზაცია, რომელიც მთელი ათასი წლით უსწრებს ეგვიპტურს, კაცობრიობას სპორტის მხრივაც ბევრ საინტერესო აღმოჩენას ჰპირდება.

ჩვენი საუკუნის 40-ან წლებში შუამდინარეთის ტერიტორიაზე (სადაც ჯერ ქალდეველნი, შემდეგ კი მათი მემკვიდრენი — შუმერები მოსახლეობდნენ), დიალას ხეობის მიდამოებში ტელ-აღრაბსა და კაფაჯეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია საინტერესო ექსპონატები. განათხარი წარმოადგენდა წარმართული ღვთაების ტაძარს. ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ღვინის სასმისი, რომლის საყრდენი გამოხატავს ჭიდაობის კომპოზიციას. სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილ ორ მოჭიდავეს ერთმანეთისთვის სარტყელში ჩაუვლია ხელი. აღმოჩნდა ასევე ქვაზე ამოკვეთილი, ჭიდაობის ამსახველი ბარელიეფი.

ამ არქეოლოგიური მონაპოვრის შესახებ 1962 წელს პარიზში, ჟურნალ „ასირიოლოგიისა და აღმოსავლეთის არქეოლოგიის მოამბეში“ გამოქვეყნდა მასალები, რომელთაც ერთვის ფრანგი ჟურნალისტისა და მკვლევარის გრაციან რფნერის წერილი: „ჭიდაობა შუმერში“.

როგორც ირკვევა, დაბა ტელ-აღრაბის წარმართული ღვთაების ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი თასი თავისი კომპოზიციით შუმერულ ჭიდაობას ასახავს. შესაძლოა, მოჭიდავენი მონასტრის მონები იყვნენ, რომლებიც ბრინჯაოს თასით დაჯილდოვეს.

თითქმის ანალოგიური ხასიათი აქვს ქვის ბარელიეფს ჭიდაობის გამოსახულებით (კაფაჯეს ბარელიეფი). ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ შუმერში ჭიდაობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

როგორც ცნობილი მკვლევარები ფრანკფორტი, ოპენჰაიმი, ჰაიდელი და შპაიზერი ამტკიცებენ, კაფაჯეს ქვის ბარელიეფზე გამოსახულია შუმერთა ლეგენდარული გმირის გილგამეშისა და ენკიდუს

შერკინება (ისევე, როგორც უძველეს ქართულ მითოლოგიაში — ამირანისა და დევის ჭიდაობა).

გ. ოფნერი არ იცნობს ქართულ ჭიდაობას, მის ტრადიციებს. ამიტომ თავის წერილში მას აქცენტი ბერძნულ ჭიდაობაზე გადააქვს. მისი აზრით, შუმერული ჭიდაობის კომპოზიციები „საბერძნეთში მიღებული ჭიდაობის ტექნიკისა და რეგლამენტაციის ანარეკლს“ უნდა წარმოადგენდეს.

*** ოფნერის დებულება საფუძველსაა მოკლებული თუნდაც იმიტომ, რომ მიკვლეული ექსპონატები ქართული ჭიდაობის ძირითად ნიშან-თვისებებს იმეორებენ.**

ვ. სიდამონიძე.

* * *

სურათებზე: ტელ-აღრაბის რიტუალური ლარნაკი (ზევით) და კაფაჯეს ქვის ბარელიეფი (ქვევით), რომლებიც ჭიდაობის მომენტებს ასახავენ.



ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03105

რედაქტორი მ. კაკაბაძე.